

მიხეილ სააკაშვილი

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს კანონის პროექტზე

“საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ”

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი: წარმოდგენილი ცვლილებების პროექტის შემუშავება განპირობებულია, საქართველოს საგადასახადო კოდექსით და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით მეწარმის საქმიანობის შემოწმების თაობაზე საგადასახადო შემოწმების ჩატარებისათვის დადგენილი ვადების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი: წარმოდგენილი პროექტის მიზანია საქართველოს საგადასახადო კოდექსით და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით განსაზღვრული საგადასახადო შემოწმების ჩატარების ვადებს შორის გარკვეული შეუსაბამობების აღმოფხვრა და ერთიანი ვადების (საგადასახადო შემოწმების პერიოდის) ჩამოყალიბება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი: საქართველოს საგადასახადო კოდექსის 113-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, გასვლითი საგადასახადო შემოწმება შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 თვის ვადით. ვინაიდან, გასვლითი საგადასახადო შემოწმება შეიძლება იყოს როგორც გეგმური, ასევე საკონტროლო, შესაბამისად, იგულისხმება, რომ საკონტროლო საგადასახადო შემოწმების ვადა არის 2 თვე. იმის გათვალისწინებით, რომ საკონტროლო საგადასახადო შემოწმება ტარდება მოსამართლის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21³-ე მუხლის მე-12 ნაწილი განსაზღვრავს სწორედ ამ სახის საგადასახადო შემოწმების ვადებს, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 15 დღეს, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში დასაშვებია მისი გაგრძელება არაუმეტეს 15 დღით. თუმცა, პრაქტიკიდან გამომდინარე, არსებობს ისეთი შემთხვევები, რომ, როდესაც მეწარმის ბრუნვა დიდი მოცულობისაა, დღეის მდგომარეობით არსებული საკონტროლო შემოწმების ვადა არ არის საკმარისი მის შესამოწმებლად, ამიტომ წარმოდგენილი კანონპროექტით ასევე ემატება მე-3 შემთხვევა, რომლის მიხედვითაც, თუ მეწარმის ბრუნვა აღემატება 1 მილიონ ლარს, საკონტროლო შემოწმების ვადის გაგრძელება შესაძლებელია 40 დღემდე.

წარმოდგენილი ცვლილებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საკონტროლო საგადასახადო შემოწმების ვადები

შესაბამისობაში მოვა საგადასახადო კოდექსის 113-ე მუხლის მე-7 ნაწილით განსაზღვრული გასვლითი (მათ შორის საკონტროლო) საგადასახადო შემოწმების ვადასთან.

წარმოდგენილი ცვლილება ხელს შეუწყობს იმ პრობლემის მოგვარებას, რომელიც დღეისათვის იქმნება პრაქტიკაში მოსამართლის მიერ განსაზღვრული საგადასახადო შემოწმების ვადების სიმცირის გამო, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემოწმების ჩატარების შესახებ მოსამართლის ბრძანების აღსრულებას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირებისათვის ფისკალურად ნეიტრალურია.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება.

ბ.ე) კანონპროექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგი იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ზეგავლენას გადასახადის განაკვეთებზე და შესაბამისად თანმდევ ფინანსურ შედეგებზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ არის გათვალისწინებული გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესის (პრინციპის) ცვლილება.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირებულებებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტი არ ყოფილა წარდგენილი ექსპერტებისათვის.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს მთავრობა.